

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 424
15/09/2015

424-07-3-201509151532



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

აღნიშნული პროგრამის არსებობის საჭიროება დღის წესრიგში დგას, ვინაიდან წლებმა გვიჩვენა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზრდება, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შეფასება მიიღეს.

პროგრამის მიღების მიზანია 100% სახელმწიფო დაფინანსების მომპოვებელი სტუდენტებისა და მათი შესაბამისი სკოლების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი (არანაკლებ 1 000 ლარისა). აღნიშნული იქნება უფრო მეტი სტიმული იმ მოსწავლეებისთვის, რომელიც არიან მაღალი კლასებში. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა თაობას, რათა მათ გაუჩნდეთ უფრო მეტი სტიმული და მოთხოვნილება სწავლის მიმართ, ჩვენი მხრიდან უნდა დაფასდეს და მხარი დაუჭიროთ მათ. აუცილებელია ცოდნისა და შრომის ხელშეწყობა, რადგან განათლებაში ჩადებული კაპიტალი უმნიშვნელოვანესია.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით შემოვდივართ წინადადებით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამას დაემატოს წარმატებული სტუდენტებისა და შესაბამისი სკოლების წახალისების პროგრამა, რაზედაც გთხოვთ თქვენს თანხმობას.

პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამის ფარგლებში

არანაკლებ 1000 ლარი გადაეცემა ყველა მოსწავლეს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მოიპოვებენ 100%-იან გრანტს. 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემებით ასეთი გახლავთ 3 მოსწავლე.

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება განათლებული და პერსპექტიული ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ჩადგებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სამსახურში, ეს გამოიწვევს პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებას და სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრებმა და გამგებელმა პროგრამის იდეა დადებითად შეაფასეს. სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელებამ კი მოსახლეობის დადებითად შეფასება და დაინტერესება გამოიწვია.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. ვინაიდან პროექტი გარდამავალია, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მიმდინარე წელს, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან (შიდა ასიგნებათა ფარგლებში), ხოლო 2016 წელს - 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ. საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ფრაქციის წევრის, კახაბერ ასკურავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“

ელგუჯა ჩხაიძე



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2015 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დანიტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის --- სექტემბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი; ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2015 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ
ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge 03/02/2015; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016203) შევიდეს ცვლილება და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ პუნქტი:

„კ) წარმატებული სტუდენტებისა და შესაბამისი სკოლების წახალისების პროგრამა დანართი N10-ის შესაბამისად.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

წარმატებული სტუდენტებისა და შესაბამისი სკოლების წახალისების პროგრამა

1. პროგრამის განმახორციელებელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების მომპოვებელი სტუდენტების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი (არანაკლებ 1 000 ლარის ოდენობით) და მათი შესაბამისი სკოლების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი (არანაკლებ 500 ლარის ოდენობით).

3. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობისთვის განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის ამაღლება.

4. პროგრამის დაფინანსება

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. პროგრამა გარდამავალია, რომელიც 2015 წელს დაფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული შიდა ასიგნებათა ფარგლებში, ხოლო 2016 წელს გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

5. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება 3 ლანჩხუთელი ახალგაზრდის წახალისება ერთჯერადად ფულადი ჯილდოთი არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვეს 100%-იანი გრანტი.

6. პროგრამის დაფინანსების გაცემის წესი

პროგრამის დასაფინანსებლად თანხის გაცემა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

შენიშვნა: წახალისდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტი, რომელმაც დაამთავრა მუნიციპალიტეტში არსებული რომელიმე საჯარო სკოლა ან ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია ან/და რომელმაც ისწავლა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ რომელიმე საჯარო სკოლაში ან ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში 10 წელი მაინც და ცოდნის გაღრმავების მიზნით გადავიდა სპეციალიზირებულ სკოლაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„10. წარმატებული სტუდენტებისა და შესაბამისი სკოლების წახალისების პროგრამა დანართი N10-ის შესაბამისად.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე